

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „კინგსი საქართველოს“ (შემდგომში „კინგსის“) ონლაინ ოლიმპიადების ჩატარების წესსა და პირობებს, აგრეთვე ოლიმპიადების მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.

2. ოლიმპიადის მიზნები

2.1 ოლიმპიადის მიზნებია:

- ა) სასწავლო პროცესის სტიმულირება – სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესების გაღვივება;
- ბ) სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის გამოყენებით, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება;
- გ) მოსწავლეებმა სწავლის საწყის ეტაპზევე თვალნათლივ დაინახონ საკუთარი შრომისა და მონდომების შედეგი.
- დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა.

2.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად კინგსი უზრუნველყოფს: ა) ტესტის შეფასების ობიექტური და უნიფიცირებული მეთოდების შემუშავებას;

- ბ) ტესტირების ადმინისტრირებას;
- გ) შედეგების მეთოდოლოგიურ და პროგრამულ გასწორებას.
- დ) თითოეული მონაწილისთვის პერსონალური უკუკავშირის მიწოდებას.

3. ოლიმპიადების ჩატარების სტრუქტურა

3.1 „კინგსი“ ორგანიზებას უწევს საგნობრივ ოლიმპიადებს: ინგლისურ ენაში, ქართულ ენაში, მათემატიკაში, ისტორიასა და ბუნებაში, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ვებ-გვერდზე www.kings.ge, პროექტთან ერთად.

3.2 თითოეული საგნობრივი ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: I ტური და II ტური - ფინალი. (გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება სუპერფინალის მეშვეობით წინამდებარე წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად)

3.3 თითოეული საგნობრივი ოლიმპიადის ტესტირების ხანგრძლივობაა 1 საათი.

3.4 ოლიმპიადის ჩატარების განრიგი ქვეყნდება ოლიმპიადის ჩატარებამდე 1 კვირის განმავლობაში, ვებ-გვერდზე www.kings.ge

4. რეგისტრაცია და ოლიმპიადაში მონაწილეობა

4.1 ოლიმპიადა ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI-XII (მე-11 და მე-12 კლასელები გაერთიანებულნი არიან ერთ საკლასო კატეგორიაში) კლასის მოსწავლეთათვის.

4.2 მათემატიკის ოლიმპიადაზე, მათემატიკური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199-ე საჯარო სკოლა "კომაროვი", თბილისის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის N42-ე საჯარო სკოლა, ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის N41-ე საჯარო სკოლა (გარდა მესამე კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეებისა)) მოსწავლეებს მხოლოდ კონკურსგარეშე მონაწილეობის უფლება აქვთ. აღნიშნული პუნქტი არ მოქმედებს მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის. საერთაშორისო ოლიმპიადის მიზანი არის მათემატიკური განხრით ყველაზე ძლიერი მოსწავლეების შერჩევა და მათი წარდგენა საზღვრებს გარეთ საქართველოს სახელით. შესაბამისად, ამ კონკურსში ფიზიკა-მათემატიკური სკოლებიც არიან ჩართულები.

4.3 ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, მოსწავლემ უნდა გაიაროს სპეციალური ონლაინ რეგისტრაცია კინგსის ვებ-გვერდზე: www.kings.ge;

4.4 ამ მუხლის 4.3. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაცია მიმდინარეობს წინასწარ დაანონსებულ ვადებში.

4.5 რეგისტრაციის შედეგად იქმნება მონაწილის პირადი პროფილი და მოსწავლეს ენიჭება უნიკალური ექვსნიშნა კოდი, რომლის მითითებაც აუცილებელია 4.7. პუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადახდისას.

4.6 თითოეულ საგნობრივი ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობა უფასოა;

4.7 თითოეული საგნობრივი ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობა ფასიანია და თითოეული მათგანის საფასური შეადგენს 25 ლარს;

4.8 ამ მუხლის 4.6. პუნქტში მითითებული საფასურის გადახდა წარმოებს ოლიმპიადის მეორე ტურამდე, შემდეგი საშუალებებით: სწრაფი გადახდის აპარატის მეშვეობით

(სხვადასხვა/განათლება - კინგსი), საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, ონლაინ გადახდით (ყველა შემთხვევაში უნდა მიეთითოს მონაწილის უნიკალური ექვსნიშნა კოდი)

5. ოლიმპიადის ტურების ჩატარების ფორმა

5.1 ონლაინ ოლიმპიადაში მონაწილეობა და ტესტის დაწერა შესაძლებელია მონაწილის პირადი პროფილიდან.

5.2 თითოეული ტურის ტესტირების შედეგები ქვეყნდება ონლაინ ოლიმპიადიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა მონაწილემ გადალახოს პირველ ტურში დაწესებული ქულათა ბარიერი, რომლის შესახებ ინფორმაცია მას მიეწოდება ტესტირების დაწყებამდე და ასევე, გადაიხადოს მონაწილეობის საფასური.

6. ტესტები და ტესტირება

6.1 ოლიმპიადის თითოეული ონლაინ ტურისთვის ტესტებს და შესაბამის შეფასების სქემებს შეიმუშავებს „კინგსი“. ტესტის მასალის 70%-ზე მეტი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი - შესაბამისი ასაკობრივი დონის კლასგარეშე მასალას.

6.2 ოლიმპიადის თითოეული ტურისთვის შეირჩევა განსხვავებული სირთულის ტესტი კონკრეტული კლასის შესაბამისად.

6.3 თითოეულ ტესტს მითითებული აქვს მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა

6.4 ოლიმპიადის თითოეული ტურის ხანგრძლივობაა 1 საათი;

7. ოლიმპიადის შედეგები და გასაჩივრების წესები

7.1 ოლიმპიადის თითოეული ტურის შედეგები ქვეყნდება ოლიმპიადის ჩატარებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ვებ-გვერდზე www.kings.ge, მონაწილის პირად პროფილში.

7.2 ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა მონაწილემ გადალახოს პირველ ტურში დაწესებული ქულათა ბარიერი, რომლის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ტესტირების დაწყებამდე.

- 7.3 ოლიმპიადის ყოველი ტურის შედეგების თაობაზე წარმოშობილი დავები განიხილება კინგსის მიერ შექმნილი ოლიმპიადის საპრეტენზიო კომისიის მიერ;
- 7.4 ოლიმპიადის მონაწილეს უფლება აქვს ტესტის შეფასების თაობაზე წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი ოლიმპიადის შედეგების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 7.5 ოლიმპიადის მონაწილის საპრეტენზიო განაცხადი უნდა გამოიგზავნოს კინგსის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (claim@kings.ge)
- 7.6 ოლიმპიადის მონაწილის საპრეტენზიო განაცხადში მითითებული უნდა იყოს ტესტის იმ დავალების ნომერი, რომლის თაობაზეც წარდგენილია პრეტენზია.
- 7.7 საპრეტენზიო განაცხადი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ არგუმენტებს საჩივრის გასამყარებლად.
- 7.8 საპრეტენზიო კომისია განიხილავს მხოლოდ ტესტის იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განაცხადში. საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს განაცხადის შეტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
- 7.9 საპრეტენზიო კომისია არ განიხილავს ტესტის იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელშიც პასუხი არ არის დაფიქსირებული
- 7.10 საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, „კინგსი“ უფლებამოსილია დაარედაქტიროს გამოქვეყნებული შედეგები მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების გარეშე
- 7.11 მეორე, ანუ ფინალური ტურის საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შემდეგ, დგება ოლიმპიადის ფინალურ მონაწილეთა საბოლოო შეფასება.
- 7.12 ფინალური ტურის თითოეული მონაწილე, რომელიც მოიპოვებს უმაღლეს შეფასებას (ტესტის მაქსიმალურ ქულას) შესაძლებლობა ეძლევა იბრძოდოს საპრიზო ადგილებისთვის, მესამე ტურში (სუპერფინალზე) მონაწილეობით.
- 7.13 რეიტინგული სია ქვეყნდება ვებ-გვერდზე www.kings.ge, „რეიტინგის“ ველში სუპერფინალის შედეგების გათვალისწინებით..

7.14 ფინალური ტურის ქულის შესაბამისად, თითოეული მონაწილე მიიღებს დიპლომს/სერტიფიკატს, ხოლო სუპერფინალის შედეგების მიხედვით განაწილდება საპრიზო ადგილები.

8. სუპერფინალი

8.1 ოლიმპიადის სუპერფინალზე მოწვეულ იქნებიან ის მონაწილეები, რომლებმაც ოლიმპიადის ფინალურ ტურზე მოიპოვეს პირველი ხარისხის დიპლომი.

8.2 სუპერფინალის ჩატარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, ასევე სუპერფინალის ჩატარების თარიღსა და დროს, „კინგსი“ სმს შეტყობინებებით აცნობებს სუპერფინალში გასულ მონაწილეებს, სუპერფინალის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 კალენდრული დღისა.

8.3 სუპერფინალის ტესტი შედგება ძირითადი და დამატებითი დავალებებისაგან.

8.4 გამარჯვებულების გამოვლენა ხდება შემდეგი პრინციპით: პირველ რიგში ყურადღება ექცევა ძირითადი დავალებების შეფასებას. ქულათა დამთხვევის შემთხვევაში, ყურადღება ექცევა პირველი დამატებითი დავალების შეფასებას, აქაც ქულათა დამთხვევის შემთხვევაში განიხილება მეორე დამატებითი დავალება, ხოლო, შემდეგ მესამე. (თუ გამარჯვებული გამოვლინდა ტესტის ძირითადი დავალებების შეფასების მიხედვით, დამატებითი დავალებების შეფასება აღარ განიხილება.)

8.4.1 თუ რამდენიმე მონაწილეს თანაბარი ქულა აქვს როგორც ძირითადი დავალებების სექციაში, ასევე დამატებითი დავალებების ყველა სექციაში, ამ შემთხვევაში განიხილება ოლიმპიადის ფინალური ტურის შეფასება.

8.4.2 ფინალურ ტურშიც ქულათა დამთხვევის შემთხვევაში გაიმართება კიდევ ერთი დამატებითი ტური, თუ ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდნენ გამარჯვებულები, თითოეული მონაწილე გამოცხადდება გამარჯვებულად (შესაბამისი ქულების და ადგილების გათვალისწინებით)

8.5 სუპერფინალის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია შედეგების გამოქვეყნებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში, წინამდებარე წესდების 7.5, 7.6 და 7.7. მუხლების შესაბამისად

8.6 სუპერფინალის საპრეტენზიო განაცხადები განიხილება განაცხადის მიღებიდან 1 კალენდრული დღის განმავლობაში.

8.7 სუპერფინალის შედეგები ქვეყნდება სუპერფინალის საპრეტენზიო განაცხადების განხილვის შემდეგ, 1 სამუშაო დღის განმავლობაში, ვებ-გვერდზე www.kings.ge, სიახლეებში.

9. ოლიმპიადის მონაწილეთა დაჯილდოება

9.1 წინამდებარე წესდების 7.12. მუხლის შესაბამისად, თითოეული მოსწავლე მიიღებს დამსახურებულ დიპლომს/სერტიფიკატს გაზაფხულის/შემოდგომის სეზონის დასრულებიდან 4 თვის განმავლობაში

10. სუპერფინალის წესები.

პასუხების გამოქვეყნების ვადა და აპელაცია:

აპელაციები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში მეილზე: claim@kings.ge

ვადის ამოწურვის შემდეგ შემოსული აპელაციები არ განიხილება.

სავალდებულო წესები:

- მონაწილე ვალდებულია, საგამოცდო სივრცეს შეუერთდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყების დროს). პროცესის დამკვირვებელი მონაწილეს ელოდება არაუმეტეს ათი წუთისა. თუ მონაწილე ამ დროის გასვლის შემდეგ კვლავ არ/ვერ შემოუერთდა საგამოცდო სივრცეს, ჩაითვლება, რომ იგი არ გამოცხადდა ტესტირებაზე.
- მონაწილეს ტესტირების პროცესში ჩართული უნდა იყოს პროგრამა ZOOM-ში (1) ჩართული უნდა ჰქონდეს ვიდეო-თვალი და (2) მიკროფონი.
- მონაწილე სამუშაო ეკრანზე უნდა ჩანდეს თავისი სახელითა და გვართ. დაუშვებელია მეტსახელების გამოყენება.
- მოსწავლემ არ უნდა შეამციროს საგამოცდო სამუშაო ეკრანი.
- საჭიროების შემთხვევაში დამკვირვებელმა შეიძლება მოითხოვოს ხმის შემოწმება ან კამერის ხედვის შეცვლა. ასევე, შესაძლებელია დამკვირვებელმა გააზიაროს თავისი სამუშაო ეკრანი.
- მონაწილე, რომელიც ტესტის წერის პროცესში გამორთავს კამერას, მიკროფონს ან დატოვებს ზუმს, აქვს 30 წამი, რათა დაუბრუნდეს ოლიმპიადის წესებით გათვალისწინებულ მდგომარეობას, წინააღდეგ შემთხვევაში, ავტომატურად გამოეთიშება საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას. მსგავსი ქმედების განმეორების

შემთხვევაში დამკვირვებელი იტოვებს უფლებას, მიანიჭოს მონაწილეს სტატუსი - „კონკურსგარეშე“.

- ტესტირების პროცესში დაუშვებელია ხმაური, დამხმარე მასალის, სახელმძღვანელოს ან ჩანაწერის გამოყენება.

დისკვალიფიკაციის წინაპირობა:

მონაწილე ტესტირებიდან მოიხსნება, თუ დაარღვია შემდეგი პირობები: ა)

გაითიშა/გამოირთო კამერა ან ხმა 30 წამზე მეტი ხნით;

ბ) დაფიქსირდა კარნახის, სხვებთან საუბრის, ლიტერატურის გამოყენების, რაიმე დამატებითი მასალის მიწოდების შემთხვევა;

გ) დამკვირვებელს არ ეძლევა მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა;

დ) გამოცდის ჩატარების შემდეგ, არაუგვიანეს ერთი დღისა, ჩანაწერის ანალიზით გამოვლინდა დარღვევები.

ტექნიკური ხარვეზები და უკუკავშირი:

თუ მონაწილეს გამოცდის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი (დენის, ინტერნეტის გათიშვა), მაშინ იგი ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდის დამკვირვებელს ან კომპანიის ცხელ ხაზს, ხოლო 24 საათის განმავლობაში ოფიციალურ მეილზე info@kings.ge აგზავნის განცხადებას აღნიშნულთან დაკავშირებით.